პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 177 (5207)

7 1974წ. სექტემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

უძლიერესი საბჭოთა ტანმოვარჯიშეები გულმოდგინედ ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისათვის (ვარნა, ოქტომბერი). ბევრი სახელოვანი წოდების მფლობელები ... კორბუტი, რ. სიხარულიძე, ნ. კიმი, ნ. დრონოვა, ე. საადი, ს. გროზდოვა, ლ. გორბიკი, ნ. ანდრიანოვი, ვ. კლიმენკო, ვ. მარჩენკო, ე. მიქაელიანი, პ. შამუგია, ვ. ბოიკო, ა. მალეევი ყოველდღიური, დაუღალავი საწვრთნელი მეცადინეობით კიდევ უფრო ხვეწენ თავიანთ მაღალ ოსტატობას.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ვარჯიშში, ბათუმელი რ. სიხარულიძე ლესელიძეში წვრთნის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## საბჭოთა ხუთჭიდელთა ტრიუმფი

თანამედროვე ხუთჭიდის საბჭოური სკოლის ნამდვილი ტრიუმფით დამთავრდა 4 სექტემბერს მოსკოვში მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა ათლეტებმა — ლვოველმა პ. ლედნიოვმა, ვ. შმელიოვმა (მოსკოვის ოლქი) და კიეველმა ბ. ონიშჩენკომ მოიპოვეს საპრიზო ადგილი და, გასაკვირია, პირველნი იყვნენ გუნდურ ბრძოლაშიც. მათ ზუსტად გაიმეორეს თავიანთი წარმატებული მიღწევა. ასეთი გამარჯვების ფასი უფრო ნათლად რომ წარმოიდგინოთ, დავსძენთ: გუნდური ჯილდო და ერთდროულად ყველა პირადი საპრიზო ადგილი ერთი ქვეყნის წარმომადგენლებს აქამდე მხოლოდ ორჯერ ჰქონდათ (პირველად ეს შეძლეს საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებმა ი. ნოვიკოვმა, ა. ტარასოვმა, ნ. ტატარინოვმა 1957 წელს თანამედროვე ხუთჭიდის — პენტატლონის სამშობლოში, შვეციაში).

უფროსებს შესანიშნავად აუბეს მხარი იუნიორებმაც, რომელთა ჩემპიონატი პარალელურად მიმდინარეობდა. ხუთი ღირსების ახალგაზრდა რაინდთა საბჭოთა გუნდმა I ადგილი მოიპოვა, ხოლო მოსკოველმა გ. გალავტინმა და ტალინელმა რ. რუსმანმა შესაბამისად ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიხვეჭეს. ასეთი არასდროს ყოფილა და ერთობ სათუოა გამეორდეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: დღეს ჩვენ აღვნიშნეთ მსოფლიო ჩემპიონატებში საბჭოთა იუნიორის მეორე გამარჯვება, ხოლო ახალგაზრდული გუნდისა — მესამე წარმატება.

რაც შეეხება უფროსებს, 8 პირადი და 11 გუნდური გამარჯვების შემდეგ, მათი ამჯერადაც გვჯეროდა. თუმცა, გამარჯვება არცთუ ისე იოლი იყო...

უფროსთა ტურნირში მონაწილეობდა მსოფლიოს 52 საუკეთესო ათლეტი, მათ შორის 16 სრული გუნდი. ძლიერი ნაკრები მოავლინა მოსკოვში უნგრეთმა. საგრძნობლად გაიზარდა აშშ-ს, გფრ-ის, საფრანგეთის, ბულგარეთის ხუთჭიდელთა ოსტატობა. ბევრი იყო უმაღლესი წოდების პრეტენდენტი პირად ტურნირშიც.

ამის მიუხედავად მასპინძლებმა გაიმარჯვეს პროგრამის პირველივე სახეობაში — ცხენოსნურ კონკურში. შემდეგ II ადგილი ფარიკაობაში, IV — სროლაში, II ადგილები ცურვასა და მძლეოსნურ კროსში. საბოლოოდ 15673 ქულა. მომდევნო ადგილზე არიან უნგრელები (ტ. მარაჩკო, ტ. კანჩალი, ჟ. ვილანიი) — 15188. უნგრელებმა მოიგეს ორი სახეობა — ფარიკაობა და ცურვა. მესამე პრიზიორი გახდა რუმინეთის ნაკრები — 14456.

ინდივიდუალურ ბრძოლაში პირველი ლიდერი იყო 25 წლის ავსტრალიელი ფერმერი პ. რიჯუეი. მხოლოდ მან დაიმსახურა მაქსიმალური შეფასება — 1100 ქულა. მაგრამ საბოლოოდ რიჯუეი აღმოჩნდა მხოლოდ... მეორმოცე.

ხუთჭიდში ყველაფერს წყვეტს ყოველ სახეობაში თანაბრად გამოსვლა და ყველაზე უკეთ ეს ლედნიოვმა შეძლო. IV ადგილი კონკურში, II — ფარიკაობაში, IX — სროლაში, VI — რბენაში და მხოლოდ XVII —

(დასასრული მე-4 გვ.).



დღეს ნომერში:
საბჭოთა მძლეოსნების მედლები — მე-2 გვ.
ფეხბურთის ვეტერანს 60 წელი შეუსრულდა — მე-3 გვ.

## ჩიგორინის საიუბილეო მემორიალი

5 სექტემბერს სოჭში გაიხსნა გენიალური რუსი მოჭადრაკის მ. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული, X საერთაშორისო ტურნირი. ეს მემორიალი საიუბილეოა.

I მემორიალი მოსკოვში გაიმართა 1947 წელს. მაშინ მ. ბოტვინიკმა გაიმარჯვა. შემდგომ ტურნირებში პირველი პრიზიორები ყოფილან ლ. პოლუგაევსკი, ბ. სპასკი, ვ. კორჩნოი და სხვა დიდოსტატები. შარშან მემორიალი ჩატარდა სოჭში, სადაც მ. ტალმა აჯობა ყველას. საინტერესოა, რომ ცხრა ტურნირში მონაწილეობა მიუღია 17 ქვეყნის წარმომადგენელ 46 დიდოსტატსა და 53 ოსტატს.

X მემორიალში მონაწილეობენ (წილისყრით): ა. შნაპიკი (პოლონეთი), დიდოსტატი რ. ხოლმოვი, ვ. ცეშკოვსკი (ორივე — სსრ კავშირი), დიდოსტატი გ. ფორინტოში (უნგრეთი), დიდოსტატი ვ. ანტოშინი, ე. სვეშნიკოვი (ორივე — სსრ კავშირი), დიდოსტატი კ. რობაჩი (ავსტრია), ნ. რაშკოვსკი (სსრ კავშირი), ლ. ესპიგი (გდრ), დიდოსტატი ვ. იანსა (ჩეხოსლოვაკია), დიდოსტატი ა. სუეტინი, დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი (ორივე — სსრ კავშირი), ხ. ვესტერინენი (ფინეთი), ს. გარსია (კუბა), დიდოსტატი ვ. სმისლოვი, ი. ანიკაევი (ორივე — სსრ კავშირი).

ჩართე ტელევიზორი
ყოველდღე 19.45

◆ სოფია, 6 სექტემბერი. ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდისა და მოსკოვის „დინამოს" ამხანაგურ მატჩში გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი 84-ე წუთზე გაიტანა პეტრუშინმა.

◆ ბოლონია, 6 სექტემბერი. იტალიის ამ ქალაქის სტადიონზე მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში ლენინგრადის „ზენიტის" ფეხბურთელებმა ინგლისის „ფულჰემს" სძლიეს — 8:0. ბურთები გაიტანეს ფიგუნოვმა, კაზაჩონოკმა და ხრომჩენკოვმა.

## საგზური უმაღლეს ლიგაში

ტოლიატი, 4 სექტემბერი. უმაღლესი ლიგის ერთადერთი საგზურის მფლობელი გახდა სოფლის სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდი, რომელმაც მოჭადრაკეთა აქ დამთავრებულ საკავშირო თასის გათამაშებაში 22,5 ქულა დააგროვა. ეს შეჯიბრება გახლდათ პირველი ლიგის გუნდების ფინალური ტურნირი.

II ადგილზე გავიდა ესტონეთის „კალევი" — 17 ქულა. 13-13 ქულა მოაგროვეს ბელორუსიის „კრასნოე ზნამიამ" და საქართველოს „განთიადმა".

ტურნირში მონაწილეობდა ორი საერთაშორისო დიდოსტატი — პ. კერესი („კალევი") და რ. ხოლმოვი (სოფლის სპორტულ საზოგადოებათა გუნდი). თითოეულმა მათგანმა პირველ დაფაზე 4-4 ქულა მოაგროვა 5-დან.

ყველაზე მეტი ქულა (4,5) დააგროვეს ოსტატობის კანდიდატმა დ. კაიუმოვმა („მეხნატი") — მესამე დაფაზე და საერთაშორისო ოსტატმა მაია რანიკემ, რომელიც მეხუთე დაფაზე თამაშობდა სოფლის სპორტულ საზოგადოებათა გუნდში.

12 წლის პირველთანრიგოსანმა, მეექვსეკლასელმა ნანა იოსელიანმა (საქართველოს „განთიადი") საუკეთესო მაჩვენებელს (4 ქულა) მიაღწია მეექვსე დაფაზე.

(საქინფორმი).

## მეტრეველის მოგება და წაგება

ფორესტ-ჰილსი, 5 სექტემბერი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სსრ კავშირის ჩემპიონმა, თბილისელმა ჩოგბურთელმა ა. მეტრეველმა საუცხოოდ ითამაშა ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატში. მერვედფინალურ მატჩში მან მწვავე ბრძოლის შემდეგ სძლია ჰოლანდიელ ტ. ოკერს — 6:1, 6:3, 7:6. ბოლო პარტიაში ოკერი ინიციატივის ხელში ჩაგდებას შეეცადა, დაწინაურდა კიდეც (1:2). მაგრამ თბილისელი ჩოგბურთელი, როგორც ამერიკის პრესა აღნიშნავს, ულელვებლად, ზუსტად თამაშობდა და მუდამ საიერიშოდ იყო მზად.

მეოთხედფინალურ მატჩში მეტრეველი უიმბლდონის ტურნირის წლევანდელ ჩემპიონს, ამერიკელ ჯ. კონორსს შეხვდა, რომელმაც მერვედფინალში უიმბლდონის შარშანდელ ჩემპიონს ი. კოდეშს (ჩეხოსლოვაკია) აჯობა — 7:5, 6:3, 5:7, 6:2.

მეტრეველისა და კონორსის ბრძოლაც მძაფრი და საინტერესო გამოდგა. გაიმარჯვა კონორსმა — 8:6, 6:3, 6:4, 6:1.

საერთოდ მეტრეველმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და სპეციალისტებიც და პრესაც ხოტბას ასხამენ მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა





თბილისის 24-ე საშუალო სკოლა ერთ დროს სულ ბოლო ადგილებზე რჩებოდა რაიონულ შეჯიბრებებში. მაგრამ შემდეგ მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა. ბოლო წლებში აქაურები კომპლექსურ ჩათვლაში სულ საუკეთესოთა ხუთეულში არიან, ხოლო კალათბურთში, ფრენბურთსა და ფარიკაობაში რამდენიმეჯერ გაიმარჯვეს კიდეც სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა შორის.

ამ სკოლის ზოგიერთი მოსწავლე ქალაქისა და რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებშიც ირიცხება. ისინი ოცნებობენ, რომ თავიანთი სკოლის აღზრდილი ჩოგბურთელის თ. კაკულიასავით სახელოვანი სპორტსმენები გახდნენ.

ეს ფოტოსურათები სწორედ თბილისის 24-ე საშუალო სკოლაშია გადაღებული. მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ კალათბურთელთა ვარჯიშის მომენტს; მარჯვენაზე კი ფიზაღზრდის მასწავლებელ გ. მდივანს, რომელიც IX კლასის მოსწავლე ნ. ჩიხრაძესავარჯიშებს დვირზე.

ა. ჭყვიშელი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

# ტერ-ოვანესიანის მემკვიდრე

რომი, 4 სექტემბერი. როცა სინათლის ტაბლოზე აინთო ციფრები „812“, ვ. პოდლუჟნის მეტოქეები სახტად დარჩნენ: არც ერთი მათგანი არ მოელოდა დონეცკელი ქერათმიანი ჭაბუკისგან პირველივე ცდაზე ასეთ ნახტომს. ხოლო თვითონ „ზეიმის მიზეზმა“ მხოლოდ ალმაცერად შეხედა ტაბლოს და კოსტუმის ჩასაცმელად გაიქცა. სწორედ ამ მომენტში გადაწყდა ევროპის XI ჩემპიონატის უმაღლესი წოდების ბედი სიგრძეზე ხტომაში. მხოლოდ იუგოსლავიის წარმომადგენელმა ნ. სტეკიჩმა შეძლო 8-მეტრიანი ზღვარის გადალახვა (805 სმ), რამაც მას ვერცხლის მედალი მოუტანა.

ამრიგად, ევროპის ჩემპიონატში საუკეთესო სიგრძეზე მხტომელი კვლავ საბჭოთა სპორტსმენი აღმოჩნდა. სამჯერ მოიპოვა ამ სახეობაში ოქროს მედალი შესანიშნავმა მოსკოველმა მძლეოსანმა ი. ტერ-ოვანესიანმა, რაც თავისებური რეკორდი გახლავთ. 22 წლის დონეცკელი სტუდენტი მისი ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა. ვალერის ექვსი ცდიდან სამი 8 მეტრის მიღმა აღმოჩნდა, ხოლო მათ შორის საუკეთესო — ევროპის ჩემპიონატების უმაღლესი მიღწევაა.

კარგად გამოვიდა საბჭოთა ნაკრების დებიუტანტი, 27 წლის ლენინგრადელი ე. შუბინი. მან პირადი რეკორდი დაამყარა (798 სმ), რამაც ევგენის ბრინჯაოს მედალი მოუტანა. საბჭოთა ვეტერანმა, ტალინელმა ტ. ლეპიკმა VIII ადგილი დაიკავა (773 სმ).

ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა 400 მეტრზე თარჯრბენში გომელელმა ე. გავრილენკომ — 49,32. გავრილენკო წინ გაიჭრა პირველი მოსახვევის შემდეგ, მაგრამ სწორედ ფინიშის წინ მას გაუსწრეს ინგლისელმა ა. პასკომ (48,82) და ევროპის 1971 წლის ჩემპიონმა, ფრანგმა ჟ. კლოდ-ნალემ (48,94). მეხუთე იყო ლენინგრადელი დ. სტუკალოვი (49,98), მეექვსე — ვოროშილოვგრადელი ვ. სავჩენკო (50,01).

400 მეტრზე ქალთა ფინალური გარბენი ბრწყინვალე შედეგით დამთავრდა: ჰელსინკელმა მოსამსახურემ რ. სალინმა 50,14 აჩვენა, რაც მეორე დროა მძლეოსნობის ისტორიაში, და ხელის ქრონომეტრაჟით 49,9 წამს შეესაბამება (სწორედ ეს დრო პოლონელი მძლეოსნის ი. შევინსკას მსოფლიო რეკორდია, ასევე ხელის ქრონომეტრაჟით გაზომილი). სსრ კავშირის რეკორდით მეოთხე იყო მოსკოველი ნ. ილინა — 59,22.

800 მეტრზე რბენაში ევროპის ჩემპიონი გახდა ბულგარელი ლ. ტომოვა — 1.58,11. V ადგილზეა ყარაგანდელი ვ. გერასიმოვა — 2.00,1, VI — ლისიჩანსკელი ნ. მორგუნოვა — 2.00,8. ამ დისტანციაზე უძლიერესი საბჭოთა მორბენალი, მიუნხენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი, ვილნიუსელი ნ. საბაიტე ავადმყოფობის გამო სტარტზე ვერ გამოვიდა.

ბადროს მტყორცნელ ვაჟთა შორის პირველი იყო ფინელი პ. კაჰმა — 63,62 მ. მან მხოლოდ ბოლო ცდაზე გაუსწრო ოლიმპიურ ჩემპიონს ლ. დანეკს (ჩეხოსლოვაკია). სტავროპოლელი ვ. პენზიკოვი VI ადგილზეა (60,86).

დრამატულად ჩატარდა ვაჟთა რბენა 800 მეტრზე. იტალიელი მ. ფიასკონარო 600 მეტრის მანძილზე ლიდერობდა, მაგრამ მძლავრი საფინიშო ბიძგით პირველი იყო იუგოსლავიელი ლ. სუშანი — 1.44,07. ჩემპიონატის დებიუტანტი, 22 წლის როსტოველი ვ. პონომარიოვი IV ადგილზე გავიდა კარგი შედეგით — 1.46,0.

ევროპის უძლიერეს სიმაღლეზე მხტომელ ვაჟთა დავა რომში არნახულ სიმაღლეზე — 225 სანტიმეტრზე გადაწყდა. ეს სიმაღლე დაძლიეს ვილნიუსელმა სტუდენტმა კ. შაპკამ და მისმა კოპენჰაგენელმა კოლეგამ ე. ტერინგმა. ერთმა ზედმეტმა ცდამ შაპკა ექს-ჩემპიონი გახადა. დანიელს ოქრო ხვდა, შაპკას — ვერცხლი.

რომი, 5 სექტემბერი. 27 წლის მაკეევკელმა ნ. ტკაჩენკომ ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიხვეჭა ხუთჭიდში — 4776 ქულა.

ბ. ბუხოვცევი,
ლ. პოლუნინი.
(საკდესის სპეც. კორ.).



ვ. ბორზოვი.



ა. პასკო.

საკდესი მოგვითხრობს

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

### „ნეპტუნის სახლები“ სოფლად

ლიტვაში სოფლად პირველი დახურული საცურაო აუზი პლუნგეს რაიონის რეტავასის დასახლებაში აიგო. ახალ სასწავლო წელს აქ მოვიდნენ ადგილობრივი საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მოსწავლეები. ტექნიკუმს ახალ აგროქალაქს გააჩნია აგრეთვე სტადიონი, დიდი სათამაშო დარბაზი.

ლიტვის ეს უძველესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლო დაწესებულება ამჟამად შეუდგა დიდი საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის კომპლექსებისთვის სპეციალისტების მომზადებას. მათ სწავლის წლებში შეძენილი სპორტულ ორგანიზატორთა ჩვევებიც გამოადგებათ.

უახლოეს ხანში „ნეპტუნის სახლები“ გაჩნდება კელმეს და შაკიაის სასოფლო რაიონებშიც. მათაც ტექნიკუმები აშენებენ და სწორედ ეს სასწავლებლები იქცევიან სოფლის სპორტული ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრებად.

ახლა ლიტვაში არც ერთი სასოფლო ტექნიკუმი არ შენდება სოლიდური სპორტული ბაზის გარეშე. 30 ათასი სასწავლო დაწესებულებიდან ოცდაორს უკვე აქვს სათამაშო დარბაზები, უახლოეს წლებში კი ისინი ყველგან იქნება. ყოველ მეორე ტექნიკუმში არის სტადიონი, ღია საცურაო აუზი. მოწყობილია ასამდე მოედანი ღია ცის ქვეშ.

სოფლის მეურნეობის მომავალ სპეციალისტთა ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას ხელს უწყობს თითოეული კოლექტივის ყოველწლიური კომპლექსური შეჯიბრებები, სასოფლო ტექნიკუმების რესპუბლიკური სპარტაკიადები.

ს. ვაინტრაუბასი.

ვილნიუსი.

### ჩემპიონი ჩემპიონთა ოჯახიდან

არტეკში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე მძლ კომპლექსის მრავალჭიდში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელის მოხვეჭით ნორჩი ბაქოელი ნატაშა კარპუშინა თავის ცხოვრებაში საპატიო კვარცხლბეკის არა მარტო ყველაზე მაღალ საფეხურზე ავიდა, არამედ ღირსეულადაც გააგრძელა ოჯახის სპორტული ტრადიცია.

აზერბაიჯანში კარგად იცნობენ ცოლ-ქმარ კარპუშინებს — ლილია ივანეს ასულსა და ვიტალი პეტრეს ძეს — ნატაშას მშობლებს. ისინი წარმატებით გამოდიოდნენ მძლეოსნურ შეჯიბრებებში, იყვნენ აზერბაიჯანის ჩემპიონები, წარმატებით იცავდნენ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას ბევრ პასუხსაგებ შეჯიბრებაში. არც ახლა მიუნებებიათ თავი სპორტისთვის: ლილია ივანეს ასული ფიზკულტურის მასწავლებელია ბაქოს ერთ-ერთ სკოლაში, ვიტალი პეტრეს ძე კი აზერბაიჯანის აზიზბეკოვის სახელობის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელია.

სპორტის შესანიშნავი სამყაროსადმი ერთგული სიყვარული მშობლებმა თავიანთ ქალიშვილებს ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს. VIII კლასის მოსწავლე ნატაშა კარპუშინა უკვე რამდენიმე წელიწადია ვარჯიშობს „სპარტაკის“ მძლეოსნურ სკოლაში და წარმატებით გამოდის საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

ნორჩი ბაქოელის დებიუტი საკავშირო სარბიელზე შედგა ერთი თვის წინათ ფსკოვში მძლეოსნურ ოთხჭიდში პიონერთა საკავშირო შეჯიბრებაში. იგი წარმატებით დასრულდა. ნატაშამ საპატიო მეხუთე ადგილი დაიკავა და სპეციალური პრიზი მოიპოვა.

და აი, გამარჯვება არტეკში! ნატაშა შეჯიბრების ყველა სახეობაში ლიდერობდა და მეორე პრიზიორს — მოსკოველ მოსწავლე გ. გორბაჩოვას 100 ქულით გაუსწრო.

ნატაშას წარმატება ერთ-ერთმა პირველთაგანმა გულითადად მიულოცა მისმა უფროსმა დამ ირინამ, რომელიც აგრეთვე ჩინებული სპორტსმენია.

ვ. მოროზკოვი.

ბაქო.

## სპარტაკიადა დამთავრდა, სპარტაკიადა იწყება...

დამთავრდა ახპინძის რაიონის VI საზაფხულო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც შვიდი სახეობა შედიოდა.

I ადგილზე გავიდნენ ახპინძის საშუალო სკოლის მოსწავლეები. II ადგილზე არიან ხიზაბავრის წარმომადგენლები, ხოლო III — ნაქალაქევის ფიზკულტურელები.

დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს VI საზაფხულო სპარტაკიადის ზონალურ შეჯიბრებებში.

ვ. ციხაძე,
ახპინძის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

## საქართველოს სპორტკომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან შეიქმნა სპორტულ ნაგებობათა სამმართველო.

კოლეგიამ სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს უფროსად დაამტკიცა სპორტის ოსტატი, ინჟინერი ვ. ლომაძე.

● ბეირუთი, 4 სექტემბერი. ლენინგრადის „ავტომობილისტის“ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა დაამთავრა შეხვედრები ლიბანის კოლექტივებთან. საბჭოთა სპორტსმენები აქ კლუბ „რუსულის“ მოწვევით ჩამოვიდნენ და 21 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე 9 ამხანაგური მატჩი გამართეს. ყველა შეხვედრა სტუმრების გამარჯვებით დასრულდა.

● რიგა, 5 სექტემბერი. სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გულმოდგინედ ემზადება კანადის პროფესიონალებთან შეხვედრებისთვის. სწორედ ამ სამზადისის პროგრამით გაიმართა ადგილობრივ სპორტის სასახლეში მისი მატჩი ლატვიის დედაქალაქის „დინამოსთან“. გაიმარჯვა ნაკრებმა — 7:2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

### ჩემპიონატის ქრონიკა

4 სექტემბერს მოსკოვში შედგა ჩემპიონატის მორიგი მატჩი: „სპარტაკი" — „შახტიორი".

დონეცკელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1 (2:0). სოკოლოვსკის, სტარუხინისა და საფონოვის სამ გოლს „სპარტაკმა" მხოლოდ ერთით უპასუხა (ანდრეევი).

### უმაღლესი ლიგა

### I ლიგა

შედგა გამოტოვებული მატჩი ზაპოროჟიეს „მეტალურგისა" და დუშანბეს „პამირის" ფეხბურთელთა შორის.

გაიმარჯვეს მეტალურგებმა — 1:0.

## დინამოელები იწვევენ

თბილისის ნორჩი დინამოელის სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა იწვევს 1962 66 წლებში დაბადებულ ბავშვებს.

მიღება იწარმოებს ყოველ კვირადღეს 10-დან 14 საათამდე „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე დიღომში. ნორჩებთან იმეცადინებენ გამოცდილი მწვრთნელები გ. გაგუა, ო. უშვერიძე, ბ. სიჭინავა, ხ. კოტრიკაძე.

# ამხანაგური შეხვედრები, კალენდარული მატჩები

ბაზელი. 4 სექტემბერს აქ შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი შვეიცარიის ნაკრებსა და მსოფლიო ჩემპიონს — გფრ-ის ეროვნულ გუნდს შორის.

ჩემპიონებმა, რომელთა რიგებს აკლდნენ ბრაიტნერი, მიულერი, ოვერატი და გრაბოვსკი, გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. ყველა ბურთი შესვენებამდე იქნა გატანილი. ანგარიში მე-6 წუთზე გახსნა კულმანმა, საპასუხო გოლი გაიტანა შვეიცარიელმა მიულერმა, ხოლო 27-ე წუთზე გერმანელთა დებიუტანტმა ჰაიემ გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

სტოკჰოლმი. მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა — ჰოლანდიის ნაკრებმა შესანიშნავად ითამაშა შვეციის ეროვნულ გუნდთან და დამაჯერებელი ანგარიშითაც გაიმარჯვა — 5:1 (2:0). ჰოლანდიელთაგან 2 ბურთი გაიტანა ნეესკენსმა, თითო — კრუიფმა, ჰაანმა და რენსენბრინკმა.

ვარშავა. უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორს — პოლონეთის ეროვნულ გუნდსა და გდრ-ის ნაკრებს შორის.

სტუმრებმა ძლიერად ითამაშეს და დაამარცხეს პოლონელები — 3:1 (2:1).

ოსლო. ევროპის ჩემპიონატის III შესარჩევი ჯგუფის ტურნირში ნორვეგიელებმა ანგარიშით 2:1 მოუგეს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს (აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა პირველი ტაიმი წააგეს). ანგარიში გახსნა ფინეიმ, ნორვეგიელთა მხრივ კი ორივე გოლი ლუნდმა გაიტანა.

ვენა. კონტინენტის ჩემპიონატის II შესარჩევ ჯგუფში ავსტრიელებმა მოუგეს უელსის ნაკრებს — 2:1. მასპინძლებმა აქაც წააგეს პირველი ტაიმი, მაგრამ გრიფიტსის მიერ გატანილ გოლს კროიცმა და კრანკლმა ორით უპასუხეს.

## „ბარსელონის" გამარჯვება

ბარსელონაში დამთავრდა კიდევ ერთი მინი-ტურნირი. ესპანეთის ჩემპიონ „ბარსელონის" გარდა აქ თამაშობდნენ „გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია), ბილბაოს „ატლეტიკო" (ესპანეთი) და ამსტერდამის „აიაქსი" (ჰოლანდია).

I ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ბარსელონა" და „გლაზგო რეინჯერსი". ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს ესპანელებმა.

III ადგილისთვის ბრძოლაში „ატლეტიკომ" ანგარიშით 1:0 სძლია „აიაქსს".

## როცა კაპიტანი დაბერდა...

ჰოლანდიის ნაკრების გამოჩენილი მცველი, როტერდამის „ფეიენოორდის" კაპიტანი რ. ისრაელი ბელგიაში გადავიდა — იგი „ფკ ბრიუგეში" ითამაშებს. ამას იმ უბრალო ამბით ხსნიან, რომ ისრაელი 31 წლისაა და უკვე აღარ მიეკუთვნება „სუპერ-კლასის" მოთამაშეთა რიცხვს.

## კარნევალი პირველ ადგილზეა

არგენტინის ნაკრების მეკარე კარნევალი, რომელმაც ამას წინათ „ლას-პალმასის" შემადგენლობაში ითამაშა თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ, ესპანეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

1973-74 წლების სეზონის შედეგების მიხედვით, კარნევალი ესპანეთის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ჟურნალისტებმა II ადგილი მიაკუთვნეს „ფკ მალაგის" მეკარე დეუსტოს, ხოლო III — სახელოვან კრუიფს („ბარსელონა").

### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## „ზამორას ჯილდო" — სადურნის

ესპანეთის ფეხბურთის I ლიგის მეკარეთათვის ყველაზე ნაკლები ბურთის გაშვებისთვის დაწესებულია სპეციალური „ზამორას ჯილდო".

1973-74 წლების ჩემპიონატში საუკეთესოდ მიჩნეულია „ბარსელონის" მეკარე სადურნი, რომელსაც „ზამორას ჯილდო" გადაეცა. მან თითო მატჩში საშუალოდ გაუშვა 0,75 ბურთი.

II-III ადგილებზე აღმოჩნდნენ ნაკრებისა და ბილბაოს „ატლეტიკოს" მეკარე ირიბარი და მადრიდის „ატლეტიკოს" მეკარე რეინა — 0,86 ბურთი თითო თამაშში.

## არგენტინელთა გადაწყვეტილება

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის კონგრესმა იმსჯელა მსოფლიოს მორიგი 1978 წლის ჩემპიონატის პრობლემებზე.

როგორც ცნობილია, ამ ჩემპიონატში 20 გუნდი ითამაშებს. კონგრესმა დაადგინა შეჯიბრება წინასწარ ფინალურ ჯგუფებში მოაწყოს ოთხ ქალაქში: კორდობაში, მარ დელ პლატაში, მენდოსასა და როზარიოში. რაც შეეხება 8 უძლიერესი გუნდის დასკვნით ასპარეზობას, იგი მხოლოდ ბუენოს-აირესში გაიმართება.



# დაფასება

ფეხბურთზე ბაასი გულშემატკივრებს უსასრულობამდე შეუძლიათ. რას არ გაიხსენებენ — გამოჩენილი ფეხბურთელის ცხოვრებისა თუ დიდი ხნის წინათ ჩატარებული მატჩის ამა თუ იმ ეპიზოდს.

იმ დღესაც, თბილისის № 2661 ავტოკოლონის თანამშრომლებს რა თემაზეც უნდა ელაპარაკათ, საუბარი მაინც 1938-51 წლების თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდით მთავრდებოდა. რატომაც არა, მაშინდელი „დინამოს" ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ხომ მათი თანამშრომელი, უფროსი დისპეტჩერი გრიგოლ (მიხო) ჭელიძე გახლავთ. სწორედ იმ დღეს კოლექტივი თავის საამაყო თანამშრომელს 60 წლისთავის იუბილეს უხდიდა.

ავტოკოლონის კლუბში ფეხბურთის ბევრი მოყვარული ინატრებდა იმ გულითად საღამოზე დასწრებას: ძველი თაობის წარმომადგენლებმა — იუბილარის თანამშრომლებმა და ვეტერანმა ფეხბურთელებმა მრავალი ეპიზოდი გაიხსენეს გ. ჭელიძის სპორტული ნაბიჯებიდან. ეს ჭეშმარიტად ზეპირი წიგნი იყო, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ: „გრიგოლ ჭელიძის სპორტული ცხოვრება". თვითონ იუბილარი კი სპორტში თავის პირველ ნაბიჯებს ასე იხსენებს: „როდის დავარტყი ბურთს პირველად ფეხი?.. ამას ვერაფრით გავიხსენებ. ისე კი, როგორც ყველა ქუთაისელს, მეც ძალიან მიყვარდა ფეხბურთი. ქუთაისის მე-11 საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. გაკვეთილების შემდეგ სპორტულ ბაზებზე დავდიოდი, სადაც ფიზკულტურელების წვრთნას ვადევნებდი თვალყურს. ის ბაზები სპორტსაზოგადოება „შევარდენს" ეკუთვნოდა. იქ მამაჩემი მიხეილი მუშაობდა დარაჯად. ამიტომ გასაგებია ჩემი ხშირი ვიზიტიც „შევარდენში", სადაც ფეხბურთელთა წვრთნა-ვარჯიშის ცქერით ბევრი რამ ვისწავლე, 1929 წელს კი, 15 წლის ჭაბუკი, ახალ ჩამოყალიბებულ „მერცხალში" ჩამრიცხეს და დაიწყო...

1931 წელს ასევე ახალშექმნილ ქუთაისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდში მოვხვდი. 1933 წელს ქუთაისში თბილისიდან ჩამოვიდა ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტი მიხეილ კოდუა. იგი ამავე დროს ინსტიტუტის ფიზკულტურელთა თავკაციც გახლდათ. სწორედ მისი რჩევით შევედი იმ უმაღლეს სასწავლებელში და, ცხადია, ინსტიტუტის სახელსაც ვიცავდი ქალაქის პირველობებში. ასე გაგრძელდა ორ წელიწადს, შემდეგ კი თბილისის „ლოკომოტივში" აღმოვჩნდი ძმები ჩხატარაშვილების, აფრიდონიძის, ლოლაძის, სალოხინის, ჯეჯელავას, ჭუმბურიძისა და სხვათა გვერდით.

და აი, 1938 წლის ერთ მშვენიერ დღეს ყველა ჩვენი ფეხბურთელისთვის სანატრელი თბილისის „დინამოს" მაისური ჩამაცვეს. დიდებული მოთამაშეები იყვნენ მაშინ გუნდში: შავგულიძე, პაიჭაძე, ბერძენიშვილი, გაგუა, კიკნაძე, დოროხოვი, ტყებუჩავა, ფროლოვი, ხარბედია, ჯეჯელავა... ნამდვილი სიამოვნება იყო მათთან ვარჯიში, თამაში. ჩვენ ამას მუდამ მონდომებით, ძალდაუტანებლად ვაკეთებდით ყოველგვარ ამინდში, წვიმაში, ქარში"...

მოგონებები, მოგონებები...

...ჭელიძე საუკეთესო მცველი იყო. მის მაისურზე სხვადასხვა დროს წაიკითხავდით ციფრებს: 2, 3, 4, 5, 6. ჭელიძის წინააღმდეგ თამაში „არ სიამოვნებდათ" ისეთ აღიარებულ თავდამსხმელებსაც კი, როგორიც იყვნენ დიომინი ცდკა-დან, ვ. დემენტიევი ლენინგრადის „დინამოდან", ნ. დემენტიევი მოსკოვის „სპარტაკიდან", მისი თანაგუნდელი სტეპანოვი, ტროფიმოვი მოსკოვის „დინამოდან"...

ერთხელ ცდკა-სთან თამაშის დაწყებამდე, როცა დიომინმა ფეხბურთის მინდორზე გამოსულ ჭელიძეს მოკრა თვალი, უმალ პირი იბრუნა გასახდელისკენ მიმავალი გვირაბისკენ და თავის მწვრთნელს უთხრა:

— აკი მითხარით, დღეს ჭელიძე არ ითამაშებსო...

მოგონებები, მოგონებები...

...იმავე ცდკა-სთან თამაშის დროს დიომინს, როგორც იტყვიან, ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონდა. ჭელიძე მას მუსუსივით „აჰკიდებოდა" და ფეხის განძრევის საშუალებას არ აძლევდა. უცებ დიომინი სარბენ ბილიკებზე გაშხლართული აღმოჩნდა. როცა დიომინმა თავი ასწია, დაინახა, რომ ჭელიძე მას აქაც თავს წამოსდგომოდა.

— აქ მაინც დამანებე თავი! — მიმართა სასოწარკვეთილმა დიომინმა მეტოქეს.

— რა ვქნა, მეგობარო, მწვრთნელმა დამავალა, თვალი არ მოაშორო, სულ უკან სდიეო, — მიუგო ჭელიძემ.

მოგონებები, მოგონებები...

...გრიგოლი მუდამ მხიარული კაცი იყო როგორც ცხოვრებაში, ისე ფეხბურთის სარბიელზე. მას თავისი ენამოსწრებული ხუმრობით ბევრჯერ გაუმხნევებია თავისი გუნდი და თითქმის უიმედო მდგომარეობაც გამარჯვებით დაუგვირგვინებიათ. წაგების შემთხვევაში კი უმჯობესი იყო ახლოს არ გაკარებოდით. მაშინ მას დანა კბილს არ უხსნიდა.

ყველაფერი ეს იუბილარის მეგობრებმა, ვეტერანმა ფეხბურთელებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ა. ზაზროევმა, გ. ანთაძემ, ბ. პაიჭაძემ, გ. გაგუამ და სხვებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს იმ საღამოს.

მოგონებები, მოგონებები...

— ძნელი იყო ჩემი განშორება ფეხბურთთან, მაგრამ რას იზამ, წლებს თავისი მიაქვს. 38 წლისამ მივატოვე თამაში. ამ დროს უკვე ღირსეული ახალგაზრდა შემცვლელებიც გამოჩნდნენ. 1951 წელს მათ გადავულოცე ჩემი მაისური, — ამბობს იუბილარი.

დასასრულს თბილი სიტყვებით გვინდა აღვნიშნოთ № 2661 ავტოკოლონის პარტიული კომიტეტის მდივნის, სპორტის ოსტატ ლ. ძიძიგურის თაოსნობა, რომლის ინიციატივითაც მოეწყო ეს საღამო.

— მარტო მე რას გავხდებოდი, თუ ჩვენი დირექცია, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მესვეურები და საერთოდ მთელი კოლექტივი არ დამეხმარებოდა, თქვა პარტკომის მდივანმა.

ა. გურასაშვილი.

• • •

სურათზე: შოფერი ვ. ხუბაშვილი იუბილეს ულოცავს გ. ჭელიძეს. მარცხნივ — ფიზკულტურელთა თავკაცი ტ. არჩვაძე, მარჯვნიდან მეორე — ლ. ძიძიგური.

ავტორის ფოტო.

### რამდენიმე სტრიქონით

## წყალტუბო

დამთავრდა „სპარტაკის" რაიონული პირველობა ფეხბურთში. წარმატება ხვდა საქვაჭრობის წყალტუბოს განყოფილების კოლექტივს. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის გუნდები. ეს კოლექტივები შესაბამისი დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ვ. ფაილოძე.

# კომპიუტერი თამაშობს... ხელბურთს

ორწლიანმა ექსპერიმენტმა, რომელშიც მეცნიერებთან და სპორტსმენებთან ერთად ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა მონაწილეობდა, ხელბურთელთა მომზადების მეთოდიკაში სრულყოფის შეტანას გაუწია დახმარება.

თავდაპირველად საჭირო გახდა იმის დადგენა, თუ რა ელემენტებისგან შედგება ეს თამაში. ამაზე პასუხი გასცა ოთხი სხვადასხვა კლასის გუნდის მიერ ჩატარებული ორასი მატჩისა და ასი საწვრთნელი მეცადინეობის თავისებურმა „სტენოგრამებმა": აღნუსხეს 48 მოთამაშის — სპორტის ოსტატისა და პირველთანრიგოსნის მოქმედებები. საბოლოოდ მიიღეს ციფრების მასა, რაც წარმოადგენდა სპორტსმენთა სისწრაფის, მოხერხებულობის, გამძლეობის, სიზუსტის, ძალისა და რეაქციის სისწრაფის საზომს.

თუმცა ეს ციფრები ჯერ არაფერს „ლაპარაკობდნენ", სანამ საქმეს ხელი არ მოკიდა კომპიუტერ მ-220-მა. მეცნიერების მიერ შედგენილი პროგრამით მანქანა გაერკვა გაზომვების მასაში, დააჯგუფა მონაცემები, შეადგინა ცხრილები, რაც თამაშის ყოველი ელემენტის „ხვედრითი წონის" დანახვის საშუალებას იძლეოდა.

გამოირკვა, რომ მატჩის განმავლობაში ხელბურთელი საშუალოდ 4365 მეტრს ფარავს. ესაა ასობით მოკლე და გრძელი გარბენი. მოთამაშე მონაწილეობს ორმოცდაათამდე შეტევაში, მის წილზე მოდის რამდენიმე ათეული გადაცემა. ამას გარდა, ბლოკირება, კარში ტყორცნა, ბურთის წართმევა, გადაჭრა, დაწყებული და დაგვირგვინებული კომბინაციები...

ანალიზმა შექმნა წარმოდგენა არა მარტო მთლიან დატვირთვაზე, არამედ იმ სამუშაოზე, რომელსაც თითოეული სპორტსმენი ასრულებს მისი სათამაშო ამპლუასთან, მომზადებასა და კვალიფიკაციასთან დამოკიდებულებით. ამავე დროს აღინუსხებოდა არა მარტო ის, რაც მოედანზე ხდებოდა, — მეცნიერებმა სპეციალური გადამწოდების დახმარებით „ჩაიხედეს" სპორტსმენის ორგანიზმში.

მათ შეძლეს დაედგინათ საინტერესო ურთიერთკავშირი ფიზიკურ მდგომარეობას, ვარჯიშის ხასიათს, სათამაშო დატვირთვებსა და სხვა პირობებს შორის.

ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და უზბეკეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ერთობლივი კვლევის შედეგად საწვრთნელ პროცესში არსებითი შესწორებებია შეტანილი. მიიღეს კონკრეტული რეკომენდაციები დატვირთვების მოცულობასა და ხასიათზე სეზონისთვის მომზადების სხვადასხვა პერიოდში და შეჯიბრებების დროს, დაზუსტებულია გუნდებთან და ცალკეულ სპორტსმენებთან მეცადინეობის მეთოდიკა.

ტაშკენტელი მწვრთნელისა და პედაგოგის ვ. იზააკის გამოკვლევამ უკვე ბევრ კოლექტივში — სასკოლოდან დაწყებული ოსტატთა გუნდების ჩათვლით — ჰპოვა გამოყენება.

ე. ეციმოვი.

(საკლდხას კორ.).

ტაშკენტი.

# საბჭოთა ხუთჭიდელთა ტრიუმფი

დასასრული

ცურვაში. ოთხ სახეობაში ათასზე მეტი ქულა, საბოლოოდ კი დიდოსტატური ჯამი — 5302.

როგორც მუდამ, ბრძოლა მძლეოსნური კროსით დამთავრდა. ლენინის გორაკებზე გამართული 4-კილომეტრიანი ტრასის სიმაღლეთა სხვაობა 60 მ იყო (აღმართების საერთო სიგრძე 570 მ იყო).

ბოლო სახეობის წინ ლიდერობდა ლედნიოვი. მას მიჰყვებოდა ონიშჩენკო. მესამე იყო ნიჭიერი ამერიკელი ათლეტი ჯ. ფიცჯერალდი, მეოთხე — შმელიოვი.

როგორც შარშან, კროსში ამჯერადაც საუკეთესო იყო იაპონელი ს. უჩიდა — 12.59,0 (1228 ქულა). ეს შედეგი მიუწვდომელი ორიენტირი გახდა დანარჩენთათვის. მას ყველაზე უფრო მიუახლოვდნენ ინგლისელი ჯ. ფოქსი (13.08,7) და შმელიოვი (13.10,8). საბოლოოდ ვლადიმერმა გაუსწრო არა მარტო ფიცჯერალდს, არამედ ონიშჩენკოსაც. ფიცჯერალდი VIII ადგილზე გადავიდა.

არც თუ ცუდად გამოვიდა მარაჩკო — 13.13,4. ლედნიოვმა მეექვსე დრო აჩვენა — 13.26,8. მაგრამ ეს საკმარისი გამოდგა და ფინიშამდე რამდენიმე მეტრით ადრე გახარებულმა ლედნიოვმა ხელები აღმართა...

ონიშჩენკო საუკეთესო მორბენალთა ათეულში ვერ მოხვდა: მისი საბოლოო შედეგია 5150 ქულა. შმელიოვმა 5209 ქულა დააგროვა. უცხოელ მონაწილეთაგან საუკეთესო იყო მარაჩკო — 5118 (IV ადგილი). მისი თანაგუნდელი კანჩალი მეხუთე იყო — 5102. ინგლისური ხუთჭიდის ვეტერანს ფოქსს მეექვსე შედეგი აქვს — 5088 ქულა.

ხუთჭიდელთა შემდგომი მსოფლიო ჩემპიონატები გაიმართება 1975 წელს მექსიკაში (უფროსები) და კანადაში (იუნიორები).

## ლაპარაკობენ ჩემპიონატის სტუმრები

ჩვენ ვთხოვეთ თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელ მუშაკებს შეეფასებინათ მსოფლიო ჩემპიონატი და მოსკოვის შანსები 1980 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე. აი, მათი პასუხები...

**ს. ტოფელტი (შვეცია).** ბრიგადის გენერალი, თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი:

— *თქვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს არა მარტო სპორტული ნაგებობები და ცხენების მომზადებაც კი, არამედ მაყურებელთა დიდი რაოდენობა, რომლებიც კარგად ერკვევიან სპორტში. ეს საკმაო არგუმენტებია, რათა მათს წინაშე გამოვიდნენ მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები. ჩვენი კავშირი მხარს დაუჭერს სსრ კავშირის დედაქალაქის კანდიდატურას ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად.*

**ე. ფრიდი (ავსტრია).** ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირის საპატიო მდივანი:

— *მოსკოვში მაყურებლები მოდიოდნენ ხუთჭიდელთა შეჯიბრებაზე ცურვაში, თუმცა სარეკორდო წამებს აქ ვერც ნახავთ. ესე იგი თქვენი მაყურებლები სიამოვნებას ღებულობენ მეტოქეობით, შეჯიბრებით. ეს კი შესანიშნავია! დარწმუნებული ვარ, რომ 1980 წლის ოლიმპიადა მოსკოვში მოეწყობა.*

**გ. ტროი (აშშ).** პოლკოვნიკი, თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირის ტექნიკური კომიტეტის წევრი:

— *მე თანამედროვე ხუთჭიდს 20 წელზე მეტია მივსდევ და თითქმის ყველა რანგის შეჯიბრება მინახავს. მოსკოვში ტექნიკური კომიტეტი ყოველ დილით იკრიბებოდა ოპერატიული პრობლემების გადასაწყვეტად, მაგრამ (გავხსნი პატარა საიდუმლოს) არ გვქონდა არც ერთი საკითხი, რომლის განხილვა ხუთ წუთზე მეტს გაგრძელებულიყო. ასეთ ორგანიზატორებთან სასიამოვნოა საქმის დაჭერა. თანამედროვე სპორტი სრულყოფილ ნაგებობებს მოითხოვს და მოსკოვში საკმაოდაა ასეთი არამცთუ თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებლად, არამედ ოლიმპიადისთვის გასამასპინძლებლადაც.*

ვ. ბაბკინი,
ვ. კუკუშკინი,
ვ. პიმენოვი.
(საკდესის კორ.).



პ. ლედნიოვი.



ვ. შმელიოვი.



ბ. ონიშჩენკო.

ა. აბაზის ფოტოები („კომსომოლსკაია პრავდა").



# ცხრილის ყველა უჯრედი შეივსო



როგორც ვიუწყებოდით, კალიარიში (იტალია) დამთავრდა ევროპის კალათბურთელ ქალთა ჩემპიონატი. მკითხველებმა იციან, რომ ამ ტურნირში ბრწყინვალედ იასპარეზა სსრ კავშირის ნაკრებმა: მან დაიკავა I ადგილი და მეთორმეტედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება.

გადახედეთ ჩემპიონატის საბოლოო შედეგებს და დარწმუნდებით, თუ რაოდენ დიდი უპირატესობა ჰქონდა საბჭოთა გუნდს დანარჩენ მეტოქეებზე. ევროპის ჩემპიონმა ბურთების დიდებული ბალანსით დაამთავრა ტურნირი და ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ კონტინენტზე მას მართლაც არა ჰყავს ტოლი.

დადებითი ბალანსი აქვს წლევანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორსაც, მაგრამ ეს პლუსი მხოლოდ ხუთ ქულას უდრის. რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ჩეხოსლოვაკიის გუნდმა 46 ქულით წააგო შეხვედრა მთავარ ფავორიტთან — სსრ კავშირის ნაკრებთან.

დანარჩენ ხუთ ფინალისტს უარყოფითი ბალანსი აქვს, რაც საკმაოდ იშვიათია სატურნირო პრაქტიკაში. მაგრამ ეს გარემოება, ვიმეორებთ, გამოწვეულია იმით, რომ ყველა გუნდმა დიდი ანგარიშით წააგო მატჩი ჩემპიონთან.

დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა მთავარი ფინალის ცხრილში ბოლოსწინა ადგილისთვის. რუმინელებმა უპირატესობას მიაღწიეს ფრანგებთან ძნელი გამარჯვებით (67:66). ასევე პირადმა გამარჯვებამ უნგრელებთან იტალიის ნაკრები III ადგილზე გაიყვანა.

**ტურნირის საბოლოო ცხრილი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრკ | 6 | 6 | 0 | 505—298 | 6 |
| ჩეხოსლოვაკია | 6 | 5 | 1 | 388—383 | 5 |
| იტალია | 6 | 3 | 3 | 270—320 | 3 |
| უნგრეთი | 6 | 3 | 3 | 339—343 | 3 |
| ბულგარეთი | 6 | 2 | 4 | 392—409 | 2 |
| რუმინეთი | 6 | 1 | 5 | 353—444 | 1 |
| საფრანგეთი | 6 | 1 | 5 | 317—367 | 1 |

ცხრილში მოყვანილია მხოლოდ ფინალური ტურნირის შედეგები, მაგრამ გადამწყვეტი ეტაპის მონაწილეებმა, იტალიელთა გარდა (ისინი როგორც ტურნირის მასპინძლები წინასწარი მატჩებისგან თავისუფალი იყვნენ), ჯგუფური ტურნირების კიდევ 3-3 მატჩი ჩაატარეს. ასე რომ, ჩემპიონატის პროცესში მათ 9-9 შეხვედრა ითამაშეს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სსრკ | 9 | 9 | 0 | 782—472 | 9 |
| ჩეხოსლოვაკია | 9 | 8 | 1 | 608—567 | 8 |
| იტალია | 6 | 3 | 3 | 270—320 | 3 |
| უნგრეთი | 9 | 5 | 4 | 518—516 | 5 |
| ბულგარეთი | 9 | 5 | 4 | 632—614 | 5 |
| რუმინეთი | 9 | 3 | 6 | 566—658 | 3 |
| საფრანგეთი | 9 | 3 | 6 | 508—517 | 3 |

მეორე ფინალურ ჯგუფში, რომელსაც უნდა გამოევლინა VIII-XII ადგილები, საუცხოოდ ითამაშა იუგოსლავიის ნაკრებმა. მას VIII ადგილი ხვდა. ათეულში მოხვდნენ აგრეთვე პოლონეთისა და გფრ-ის წარმომადგენლები. ესპანელებმა დაიკავეს XI ადგილი, დანიელებმა კი — უკანასკნელი, XII.

ნ. ახვლედიანი.



ახლახან დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში საგზატკეცილო წრიული საავტომობილო რბოლის თბილისელმა ოსტატმა გურამ დგებუაძემ ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ბრინჯაოს მედალი ადვილია სათქმელად და დასაწერად, მაგრამ ამ მიღწევის მოსაპოვებლად საჭირო იყო ტალინსა და რიგაში I ფორმულის მანქანებით გამართულ უმძიმეს რბოლებში თავის გამოჩენა. საქმე ისაა, რომ ტალინში პირველი ცდის შედეგად დგებუაძემ III ადგილი დაიკავა, ხოლო მეორე სერია მანქანის დაზიანების გამო ვერ დაამთავრა და ნული მიიღო. და მაინც, რიგაში დგებუაძემ ჭეშმარიტი სპორტული მიზანსწრაფულობა გამოიჩინა, ეტაპი მოიგო და საბოლოოდ ბრინჯაოს მედალიც დაისაკუთრა.

ო. კიკნაველიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *

სურათებზე: რიგის ტრასაზე ასპარეზობის მომენტი; თბილისის სპორტსმენი გ. დგებუაძე.

# წაგება ტომსონის გუნდთან

ლოს-ანჯელესი, 4 სექტემბერი. როგორც განსაზღვრული იყო, სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები ბოგოტიდან (კოლუმბია) ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. ეროვნებათა თასის გათამაშების უმძიმესმა მატჩებმა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ხელწერას გარკვეული დაღი დაასვა. თანაც, ამერიკელებმა სსრ კავშირის ნაკრებს ამჯერად დაუპირისპირეს ერთობ ძლიერი გუნდი, რომელშიც თამაშობდა მოსკოვის მსოფლიო უნივერსიადის საუკეთესო კალათბურთელი დ. ტომსონი.

სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის ვ. კონდრაშინის აზრით, სტუდენტური კალათბურთის ვარსკვლავთაგან დაკომპლექტებულმა ამერიკელთა ნაკრებმა ყველა რგოლში ბრწყინვალედ ითამაშა. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონს, იგი აშკარად სუსტი იყო შეტევის დასკვნით ფაზაში და განსაკუთრებით დაცვაში. საბჭოთა კალათბურთელებმა მთელი ყურადღება მათთვის კარგად ნაცნობი ტომსონის უვნებელყოფაზე გადაიტანეს. ტომსონმა მართლაც ვადამდე 27-ე წუთზე დატოვა მოედანი, თანაც თავის კოლექტივს მხოლოდ 15 ქულა შესძინა. სამაგიეროდ, რთული საქმე აღმოჩნდა მისი პარტნიორების დაკავება, პირველ ყოვლისა კი რ. ლის „დაჭერა", რომელმაც გუნდს 18 ქულა მოუტანა.

— პირველ ტაიმში ბრძოლა ასე თუ ისე თანაბარი იყო. ამერიკელთა უპირატესობა მხოლოდ 9 ქულით გამოიხატა. შესვენების შემდეგ კი ინიციატივა მთლიანად მასპინძლების მხარეს გადავიდა, რომლებმაც მოიგეს შეხვედრა — 104:77.

სსრ კავშირის ნაკრებში ყველაზე შედეგიანი ისევ ა. სალნიკოვი იყო — 21 ქულა. ი. ედეშკომ თავის კოლექტივს 14 ქულა შესძინა, ა. ბელოვმა და ი. პავლოვმა — 12-12.

საბჭოთა კალათბურთელები ამერიკის შეერთებულ შტატებში კიდევ ექვს მატჩს გამართავენ.

# სტარტზე განთიადელები არიან

რამდენიმე დღეა თბილისის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს „განთიადის" საქალაქო საბჭოს სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც სპორტის 12 სახეობა შედის.

საზეიმო გახსნა ამ მასობრივი ღონისძიებისა, რომელშიც 40-მდე ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობს, გუშინ მოეწყო.

რედაქტორი მ. პაპაშაძე.






გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 93-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მასწავლებლე და სხვების ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 93-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, კადრების განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოილუსტრაცია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.